რევაზ ლაღიძე

კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ობჩაში (ბაღდათის რაიონი). 1939 წელს დაამთავრა თბილისის მე-4 სამუსიკო სასწავლებელი ვიოლინოს განხრით (პროფესორ ლილი იაშვილის კლასი). 1948 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასი).

რევაზ ლაღიძე 1941-1949 წლებში სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა ვიოლინოზე. 1964 წლიდან თბილისის კონსერვატორიის პედაგოგია. პარალელურად მუშაობდა მუსიკის კათედრის გამგედ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

რევაზ ლაღიძის მრავალრიცხოვანი მუსიკალური ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: ოპერა „ლელა“ (1973 წ.); მუსიკალური კომედიები „მეგობრები“ (1951 წ.) და „კომბლე“ (1957 წ.); სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“ (1949 წ.); სიმფონიური სურათი „საჭიდაო“ (1952 წ.); საგუნდო სიმღერა-კანტატები: „სიმღერა სამშობლოზე“, „ბალადა ვაზზე“, „ოდა მესხეთზე“, „მოხევური ბალადა“; პიესები ფორტეპიანოსა და ჩელოსთვის: „ტოკატა“, „პოემა“, „ელეგია“; ერთნაწილიანი კანტატა „მელის ვარძია“ (შერეული გუნდისა და ორკესტრისთვის), „სიმღერა თბილისზე“.

კომპოზიტორმა სხვადასხვა დროს დაწერა მუსიკა შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლებისთვის: გენო ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, სერგო კლდიაშვილის „ზეიმი საკრაულაში“, ი. დიუბუას „აიეტი“, ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, მიხეილ მრევლიშვილის „ზვავი“. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებისთვის: ვანიონ დარასელის „გამახარე“, კარლო კალაძის „ლალი“, პიტერ აბრაჰამსის „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“, რეზო თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, კიტა ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“.

რევაზ ლაღიძეს ეკუთვნის ასევე მუსიკა კინოფილმებისთვის: „ცისკარა“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „ზვიგენის კბილი“, „ნინო“, „კეთილი ადამიანები“, „გლახის ნაამბობი“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვ.

რევაზ ლაღიძის შემოქმედება გამოირჩევა იშვიათი მუსიკალურობით. პოპულარული „სიმღერა თბილისზე“ განსაკუთრებული მელოდიურობიდან გამომდინარე ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა ქართველ და უცხოელ მომღერალთა რეპერტუარში. სიმფონიური სურათი „საჭიდაო“ არაერთხელ აჟღერდა საზღვარგარეთ (გდრ – საარბრიუკენი 1974 წელს, იუგოსლავია – სკოპიე 1974 წელს, პოლონეთი – ლოძი, კრაკოვი 1974 წელს და სხვ.).

საზღვარგარეთის საოპერო თეატრებში დადგმული რევაზ ლაღიძის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ოპერა „ლელა“ (1979 წელი, ჩეხოსლოვაკია – კოშიცე).

1975 წელს რევაზ ლაღიძე დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის სახელობის, ხოლო 1977 წელს კი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით.

1958 წელს კომპოზიტორს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო 1961 წელს – სახალხო არტისტის წოდება.

რევაზ ლაღიძე გარდაიცვალა 1981 წლის 16 ოქტომბერს.

დაკრძალულია თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს ხელოვნების სასახლეში (თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში) დაცულია კომპოზიტორის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, რაც მკვლევართათვის და არა მარტო მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს.

რევაზ ლაღიძის პირადი საარქივო ფონდი

პირადობის დამადასტურებელი საბუთები

1. რევაზ ლაღიძის ატესტატი თბილისის მე-4 სამუსიკო სასწავლებლის ვიოლინოს განხრით დამთავრების შესახებ.
   1942 წ. 14 სექტემბერი. თბილისი. სტამბური. ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: სასწავლებლის დირექტორი გივი სვანიძე, სასწავლო ნაწილის გამგე გედევანიშვილი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

2. რ. ლაღიძის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი.
   1943 წ. 16 ივნისი. ხელს აწერს სასწავლო ნაწილის მდივანი ჩახუტიშვილი. სტამბური. ფოტოსურათით. ხელით შევსებული. 1 ც.

3. რ. ლაღიძის საიუბილეო მედლის მოწმობა, უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით.
   1968 წ. 21 ოქტომბერი. თბილისი. ხელს აწერს რექტორი ილია ვეკუა. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

4. რ. ლაღიძის შრომის წიგნაკი.
   1972 წ. 4 მაისი. სტამბური. ხელით შევსებული. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 13 გვ.

5. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის ატესტატის ბლანკი, გაცემული რ. ლაღიძისადმი.
   უთარიღო. ბლანკი. დაზიანებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ფ.

ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი

6. რ. ლაღიძის ავტობიოგრაფია.
   1941 წ. 4 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

7. რ. ლაღიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1941 წ. 4 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

8. რ. ლაღიძის ავტობიოგრაფია.
   1948 წ. 28 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

9. რ. ლაღიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1948 წ. 30 სექტემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

ცნობა, განცხადება

10. თბილისის სახელმწიფო მუსიკალური სტუდიის მიერ გაცემული ცნობა რ. ლაღიძის პედაგოგად (ვიოლინოს კლასი) დანიშვნის შესახებ.
1971 წ. 15 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის კათედრის უფროსი მასწავლებლის, დირიჟორისა და ლოტბარის ავთანდილ მამაცაშვილის მიერ გაცემული ცნობა რ. ლაღიძის სიმღერის „მოაბიჯებს ოქტომბერთან“ დაკავშირებით.
1977 წ. 25 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

12. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ გაცემული განცხადება, რ. ლაღიძის მუსიკალურ სასწავლებელში მუშაობის შესახებ.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

სიგელები, დიპლომები, ლაურეატის ფურცელი

13. განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაცემული რ. ლაღიძის საპატიო სიგელი, ამავე ინსტიტუტის არსებობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.
1965 წ. 13 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი, ბლანკი. ხელს აწერენ: ლ. მაღლაფერიძე, გიორგი ჯიბლაძე. 1 გვ.

14. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული რ. ლაღიძის ლაურეატის დიპლომი, ახალგაზრდული სიმღერების შექმნისთვის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1967 წ. თბილისი. სტამბური. ფოტოასლი. 2 გვ.

15. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული რ. ლაღიძის საპატიო სიგელი, კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით.
1968 წ. ნაბეჭდი. ბლანკი. ბეჭდდასმული. 1 გვ.

16. საკავშირო კომკავშირის კომიტეტის მიერ გაცემული რ. ლაღიძის საპატიო სიგელი, საკავშირო კომპავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით.
1968 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი, ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

17. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული რ. ლაღიძის მადლობის სიგელი საკავშირო კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით.
1968 წ. თბილისი. სტამბური. ბლანკი. ხელს აწერს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი როინ მეტრეველი. 1 გვ.

18. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული რ. ლაღიძის სიგელი, მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის წარმატებით ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის.
1971 წ. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. 2 გვ.

19. საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით რ. ლაღიძისადმი გაცემული დიპლომი.
[1971 წ.] თბილისი. სტამბური. ხელს აწერს კომკავშირის ცეკას მდივანი როინ მეტრეველი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

20. სსრკ-ის ცკ-ისა და მინისტრთა საბჭოს მიერ გაცემული რ. ლაღიძის სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დიპლომი, ოპერა „ლელასთან“ დაკავშირებით.
1977 წ. 27 ოქტომბერი. მოსკოვი. სტამბური. დიპლომის ფოტოასლი. ხელს აწერენ: პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე ნიკალაი ტიხონოვი, სწავლული მდივანი ი. ვასილიევი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

21. სახელმწიფო პრემიის ლაურეატის რ. ლაღიძის დიპლომის ფოტოასლი.
1977 წ. რუსულ ენაზე. 3 გვ.

22. საქართველოს კომკავშირის ცკ-ის მიერ გაცემული რ. ლაღიძის ლაურეატის ფურცელი, პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1976 წ. 17 დეკემბერი. ნაბეჭდი. ნოტარიუსის ბეჭდით დამოწმებული. რუსულ ენაზე. 2 გვ.

23. საქართველოს მინისტრთა საბჭოს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის კომიტეტის მიერ გაცემული რ. ლაღიძის დიპლომი, მის მიერ შექმნილი სიმღერებისთვის.
უთარიღო. დიპლომის ფოტოასლი. სტამბური. ხელს აწერს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი. 2 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

24. რ. ლაღიძე. „ჰიმნი ქუთაისს“ – კანტატა. ბარიტონისა და გუნდისთვის. ბარიტონის პარტია. ავტორისეული სამახსოვრო მინაწერით დავით გამრეკელისადმი.
1967 წ. 19 ოქტომბერი. ავტოგრაფი. შავი და ლურჯი მელანი. 4 გვ.

25. რ. ლაღიძე. „რუსთავის მშენებელთა სიმღერა“. ლექსი პეტრე გრუზინსკის.
1970 წ. პარტიტურა. ავტოგრაფი. ფანქარი, მელანი. 15 გვ.

26. რ. ლაღიძე. ოპერა „ლელა“.
1973 წ. პარტიტურა. ავტოგრაფი. ფანქარი. 165 გვ.

27. რ. ლაღიძე. სიმღერა „ Победа“ („გამარჯვება“), მამაკაცთა გუნდის არია.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.

28. რ. ლაღიძე. „სტუდენტების სიმღერა“ ქალთა სამხმიანი გუნდისა და ორკესტრისთვის.
უთარიღო. პარტიტურა. გაორკესტრება მიხეილ ბორჩხაძისა. ხელნაწერი. 3 გვ.

29. რ. ლაღიძე. „ელეგია“, ჩელოსათვის ფორტეპიანოს თანხლებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.

30. რ. ლაღიძე. „კანტატა ლენინს“.
უთარიღო. პარტიტურა. გუნდი და ორკესტრი. გაორკესტრება მიხეილ ბორჩხაძის.
ხელნაწერი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

31. რ. ლაღიძე. სიმღერა „კანტატა ლენინს“. ვაჟთა გუნდისათვის ორკესტრის თანხლებით.
უთარიღო. კლავირი. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.

32. რ. ლაღიძე, სიმღერა „ოქტომბერი მოაბიჯებს“.
უთარიღო. პარტიტურა. გაორკესტრება ა. მამაცაშვილის. ხელნაწერი. მელანი. 15 გვ.
2 ეგზ.

33. რ. ლაღიძე. „ძმობის სიმღერა“. სოლისტის (ბარიტონის), გუნდისა და ორკესტრისათვის.
უთარიღო. პარტიტურა. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 12 გვ.

34. რ. ლაღიძე. კანტატა „ჩემი აჭარა“ ორი სოლისტის, შერეული გუნდისა და ორკესტრის-
თვის.
უთარიღო. ავტოგრაფი. ასლი. კლავირი. პირველ გვერდზე რ. ლაღიძის მინაწერი
ნოდარ ჯვარშეიშვილისადმი. 20 გვ.

35. რ. ლაღიძე. „სიმღერა“. პიესა ფორტეპიანოსთვის. არანჟირებულია კომპოზიტორ მერაბ
მერაბიშვილის მიერ.
უთარიღო. ხელნაწერის ასლი. 2 გვ.

36. რ. ლაღიძე. სიმღერა „შემოსულა მაისი“. ტექსტი მურმან ლებანიძის.
უთარიღო. სტამბური. ნოტის ასლი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

37. რ. ლაღიძე. ლელას არია ოპერიდან „ლელა“.
უთარიღო. სტამბური. ნოტის ფოტოასლი. ქართულ და რუსულ ენებზე. 15 გვ.

38. რ. ლაღიძე. „მთებს შევხარი“. ლექსი ალიო მირცხულავასი. სიმღერა სოლისტისა და
ვაჟთა გუნდისთვის. ორკესტრის თანხლებით.
უთარიღო. პარტიტურა. ხელნაწერი. ფანქარი. 9 გვ.

39. რ. ლაღიძე. „სიმღერა სამშობლოზე“.
    უთარიღო. ავროგრაფი. მელანი. ფანქარი. 11 გვ.

40. რ. ლაღიძე. „სიმღერა თბილისზე“. ტექსტი პეტრე გრუზინსკის. სოლისტებისა და შერეული გუნდისთვის.
    უთარიღო. ხელნაწერი. 6 გვ.

41. რ. ლაღიძე. სიმღერა „ყეენობა“.
    უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 6 გვ.

42. რ. ლაღიძე. უსათაურო სიმღერები.
    უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 14 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

43. თემოს (გვარი მითითებული არ არის) პირადი ხასიათის წერილი რევაზ ლაღიძისადმი.
    1954 წ. 20 ივლისი. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

44. თაყვანისმცემელ ალექსეი ჟიტკოვის მადლობის წერილი რ. ლაღიძისადმი, სიმღერა „თბილისოს“ შექმნასთან დაკავშირებით.
    1961 წ. 2 აპრილი. ტულსკის ოლქი. ნაბეჭდი რუსულ ენაზე. 1 გვ.

პროგრამები, სარეკლამო ფურცელი, ბროშურა

45. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლის პროგრამა მოსკოვში. რ. ლაღიძე, ოპერა „ლელა“.
    1976 წ. 19 ოქტომბერი. პროგრამის ფოტოასლი რუსულ ენაზე. 1 ც.

46. რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ პროგრამა.
    1979 წ. 16 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკია. სტამბური. ჩეხურ ენაზე. 1 ც.

47. ქალაქ კოშიცეს (ჩეხოსლოვაკია) საოპერო თეატრში გამართული რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ სარეკლამო ფურცელი.
    1979 წ. ნოემბერი. სტამბური. ჩეხურ ენაზე. 1 ც.

48. საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული ორკესტრის კონცერტის პროგრამა, მიძღვნილი სსრკ-ის შექმნის 60 წლისთავისადმი.
    1982 წ. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

49. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებული ინტერნაციონალური კონცერტის პროგრამა.
1987 წ. 8 მაისი. სტამბური. გერმანულ ენაზე. 1 ც.

50. რ. ლაღიძის ოპერის „ლელას“ პროგრამა.
1994 წ. ბათუმი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

51. ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართული რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ პროგრამა.
1994 წ. პროგრამის ფოტოასლი. 1 ც.

52. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული რ. ლაღიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს პროგრამა.
2006 წ. 12 ოქტომბერი. სტამბური. 1 ც.

53. რ. ლაღიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს პროგრამა. დირიჟორი – ზ. აზმაიფარაშვილი, რეჟისორები: მ. გაჩეჩილაძე, დ. საყვარელიძე.
2006 წ. სტამბური. 1 ც.

54. ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის პროგრამა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. რეჟისორი – რ. აგამირზიანი, მხატვარი – ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი – რ. ლაღიძე.
უთარიღო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

55. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილი რ. ლაღიძის ოპერის „ლელას“ პროგრამა.
უთარიღო. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

56. რ. ლაღიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ბროშურა.
უთარიღო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

მოსაწვევი ბარათები

57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ რევაზ ლაღიძის ამომრჩეველთან შეხვედრის მოსაწვევი ბარათი.
1963 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც.

58. რ. ლაღიძისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1972 წ. 25 აპრილი. სტამბური. 1 ც.

59. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გამართული რ. ლაღიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1982 წ. 22 ნოემბერი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

60. სსრკ-ის სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატის რ. ლაღიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1984 წ. 30 მაისი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე 1 ც.

61. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის კათედრასთან შექმნილი რ. ლაღიძის სახელობის კაბინეტ-მუზეუმის გახსნის მოსაწვევი ბარათი.
1986 წ. 12 მაისი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

62. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართული რ. ლაღიძის ხსოვნის მოსაწვევი ბარათი.
1997 წ. 20 ოქტომბერი. სტამბური. 1 ც.

63. ნათელა პაიკიძის წიგნის „მოგონებებში გაცოცხლებული რევაზ ლაღიძის“ პრეზენტაციის მოსაწვევი ბარათი.
2002 წ. 26 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

64. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული რ. ლაღიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
2006 წ. 12 ოქტომბერი. სტამბური. 1 ც. 3 ეგზ.

65. ნათელა პაიკიძის წიგნის „მოგონებებში გაცოცხლებული რევაზ ლაღიძის“ პრეზენტაციის მოსაწვევი ბარათი.
წ. (?). 24 ივნისი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

66. რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ მოსაწვევი ბარათი.
უთარიღო. სტამბური. 1 ც.

რევაზ ლაღიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მასალა

67. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მიძღვნილი კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ხსოვნისადმი .
2001 წ. 3 აგვისტო. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 1 გვ.

68. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მიძღვნილი რევაზ ლაღიძის ხსოვნისდმი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.